



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

ქ. ოზურგეთი

8 იანვარი 2015 წელი

დადგენილება №2

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი1. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები (დანართი№1).

მუხლი2. განისაზღვროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები (დანართი№2).

მუხლი3. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 ნოემბრის №41 დადგენილება.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

დანართი №1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

| თანამდებობის დასახელება | თანამდებობრივი სარგო |
|----------------------------------|----------------------|
| საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 2250 |
| კომისიის თავმჯდომარე | 1680 |
| ფრაქციის თავმჯდომარე | 1680 |

დანართი №2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

| თანამდებობის დასახელება | თანამდებობრივი რანგი | თანამდებობრივი სარგო |
|--------------------------------------|-----------------------------|----------------------|
| აპარატის უფროსი | წამყვანი საჯარო თანამდებობა | 1500 |
| განყოფილების უფროსი | უფროსი საჯარო თანამდებობა | 1050 |
| საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე | უფროსი საჯარო თანამდებობა | 1000 |
| მთავარი სპეციალისტი | უფროსი საჯარო თანამდებობა | 850 |
| წამყვანი სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 750 |
| უფროსი სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 700 |
| სპეციალისტი | უმცროსი საჯარო თანამდებობა | 650 |

